№ 87

ოთხშაბათი, 26 აპრილი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 87

ოთხშაბათი, 26 აპრილი 1895

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაგარეგლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227


**ელენე გიორგის ასული, ანნა დავითის ასული, ბესარიონ დავითის ძე და ელენე ალექსანდრეს ასული გაბაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მობრძანდნენ დასაფლავებაზედ პოდპოლკოვნიკის **სვიმონ დავითის ძის გაბაშვილისა** დღეს ოთხშაბათს, 26 აპრილს, ვერის სასაფლაოს წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში. დასაწყისი წირვისა დილის 9 საათზედ.
(1—1188—1)

## ვკისრულობ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოვგმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.
(15—„)

### ივერიის რედაქციისაგან.

მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერლებს, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ, ვისაც ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, პირველს მაისამდე კიდევ უნდა წარმოადგინოს ფული, თუ სულ არა, რამდენიმე მაინც.

**სათავ.-აზნ. ბანკის თეატრი.**

დღეს, 26 აპრილს,
დანიშნულია
**კონცერტი**
**ანჟელო მაზინისა.**

დღეის ბილეთები ყველა გასყიდულია.
დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

ხუთშაბათს, 27 აპრილს, იქნება **მეორე** და უკანასკნელი **კონცერტი. მეორე კონცერტზედ** შედარებით პირველთან ფასი დაკლებული იქნება.

ბილეთები ისყიდება **მირიმანიანის** მუსიკალურს დეპოში, სასახლის ქუჩაზედ.
(1—1190—1)

გამგე კომიტეტს „ტფილისის თავად-აზნაურთა საზოგადოების ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ აქვს პატივი ამით აუწყოს წევრთა ამა საზოგადოებისას, რომ წლიური საზოგადო კრება დანიშნულია 15 მაისს ამ წლისას, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში.

განსახილველი საგნები:

1) წლიური ანგარიში „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ მოქმედებისა 1 აპრილიდგან 1894 წლისა 1 აპრილამდის 1895 წლისა,

2) სავარაუდო ხარჯის აღრიცხვა 1 იანვრიდგან 1895 წლისა 1 იანვრამდის 1896 წლისა.

და 3) მოხსენება დამატებითის არჩევანის შესახებ გამგე კომიტეტში.

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა ამით აცხადებს ბ-ბთ დამფუძნებელ წევრთა და მესხებელთა საყურადღებოდ, რომ ბანკის წესდების § 82 მუხლის ძალით საზოგადო კრება დანიშნულია ამა 1895 წ. 9 მაისს, დილით 10 საათზედ, საადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკის სახლში, სასახლის ქუჩაზედ.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება ბანკის წლიურის ანგარიშისა 1894 წ.

2. მოხსენება შესახებ იმისა, თუ როგორ შეიცვალოს საზოგადო კრებები წარმომადგენელთა კრებით.

3. მოხსენება იმ შუამდგომლობათა შესახებ, რომლებიც ბანკის მმართველობამ აღძრა წარსულის წლის საზოგადო კრების დადგენილებათა ძალით.

4. განხილვა და დამტკიცება ბანკის მმართვის ხარჯთ-აღრიცხვისა 1895 წლისა.

5. მოხსენება სასამართლო საქმეთა მიმდინარეობის შესახებ.

6. მოხსენება შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა იქმნას განაწილებული საზოგადო-სასარგებლო კაპიტალი, რომელიც წმინდა მოგების 35%-დგან შესდგება.

7. არჩევანები: მმართველობის ერთის წევრისა, თავ. დავით ივანეს ძის ავალიშვილის მაგიერ, რომელსაც წევრობის ვადა გაუვიდა, იმის კანდიდატისა და დამფასებელ კომისიის ორის წევრისა ანტონ ნიკოლოზის ძის ფურცელაძისა და თავ. გრიგოლ სარდიონის ძის ციციშვილის მაგიერ, რომელთაც ვადა გაუვიდათ და ამათის ორის კანდიდატისა.

ამასთანავე ერთად ზედამხედველი კომიტეტი აუწყებს ზემოხსენებულის ბანკის ბ-ბთ დამფუძნებელ წევრთა და მესხებელთ, რომ რწმუნების ქაღალდები საზოგადო კრებაზედ მონაწილეობის მიღებისა ამა წლის 2 მაისს იქით აღარ მიიღებიან.
(3—6—3).

## შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამართ ლატარია-ალეგრის შემოსწირეს: ნიკოლოზ ბებუთოვმა ხელში დასაჭერი გარმონი და მშვენიერი ყუთი ტკბილეულობით სავსე და დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილმა—20 ბოთლი სხვა-და-სხვა სასმელები.

## ახალი ამბავი

—

*** ჩვენ გავიგეთ, რომ სახელმწიფო ბანკს სამი ათასი მანეთი კრედიტი აღმოუჩენია წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისათვის.

*** გაზეთ „ნოვ. ობოზ.“ სიტყვით, დუშეთის სამაზრო საპატიმრო სოფ. შულავერში გადააქვთ, რადგანაც მას შემდეგ, რაც პატიმრებს კავკასიის სამხედრო გზით აღარ გზავნიან, პატიმართა რიცხვმა ამ საპყრობილეში ძლიერ იკლო და შულავერში კი ძლიერ იმატა. ამ ორს საპატიმროს ერთად რომ შეაერთებენ, შულავერიდგან პატიმრებს მეტეხის საპყრობილეში აღარ გამოგზავნიან ხოლმე, როგორც აქამდის სჩადიოდნენო.

*** ქ. ახალციხე: ამას წინად „ივერიაში“ დასტამბული იყო, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ განუზრახავს ქ. ახალციხეში დააარსოს სამკითხველო, ამ სამკითხველოს უნდა მოჰხმარდეს ის ფული, რომელიც განსვენებულმა მუსხელიშვილის ქვრივმა წერა კითხვის გამავრცელე-

## ფელეტონი

—

**საშინელი ბრძოლა.**

კომედია 5 მოქმედებად.

(ვუძღვნი ქართველს ქალებს).

(შემდეგი*)

მოქმედება მესამე.

(სცენა წარმოადგენს ზალას პირველის მოქმედებისას. არჩილი ზის და ძველებურს თოფ-იარაღს სწმენდს, ვარდო ალაგებს ზალას და თან ღიღინებს).

გამოსვლა პირველი.

არჩილი და ვარდო.

არჩილი. (ამოიოხრებს) ეჰ ეჰ ეჰ! ვაი, ჩემს უბედურს თავს!.. ვაიმე შავის დღის მომსწრეს!

ვარდო. (გააფურთხებს) ფუ, რა უბედურებაა ღმერთმანი, არჩილ, რომ მუდამ წუწუნებ და ოხრავ!.. ლამის გული გამისკდეს შენს მაცქერალსა!..

არჩილი. ეჰ, ჩემო კარგო, გული მტკივა და მისთვის ვოხრავ, გული მტკივა და მისთვის ვსტირი!..

ვარდო. ეჰ, შენ მუდამ ეგრე იცი! წუწუნი და ტირილი სულს გირჩევნია!..

არჩილი. შავს დღეს მომასწრო ღმერთმა, დაილოცა მისი სახელი! ვხედავ, ნათლად ვხედავ, რომ დაემხო დიდებული ოჯახი, ისეთი ოჯახი, რომელიც ყველაფრით სავსე იყო—დუღდა და გადმოდიოდა... მიზარბეგ იზმაილიძეს ეჭირა ეს ოჯახი... მერე რა კაცს?—დიდებულს, გულუხვს, პატიოსანს, მოწყალეს... ვენაცვალე მისს სახელს... (ცრემლებს იწმენდს) რატომ ღმერთმა მასთან არ მომკლა... ეხლა-კი ეს სახელოვანი, სავსე ოჯახი უნდა ხელში ჩაუვარდეს გარყვნილს ტიფოს—ლოთს, სულელს... ვაი! ვაი! ვაი! (შემოიკრავს თავში ხელს) ჩირქი მოეცხო მიზარბეგ იზმაილიძის სახელს... ბედაურები დაიხოცნენ და ვირებს დარჩათ მოედანი... საბრალო ჩემი ქალ-ბატონიც როგორ გამოსცვალა სევდამ! სული ძლივს უდგია... ლანდს დაემზგავსა... კატასავით კნავის... უწინ-კი მისი მშვენიერება ხიბლავდა მთელს ქვეყანას... ისეთი ახოვანი იყო, რომ ათასს ქალში შეამჩნევდი...

ვარდო. (წყენით) ერთი შენცა, რაღაცებს როშავ! ძველ კაცებს ყველაფერი ძველი მოგწონთ! განა ეხლანდელი ჩვენი ბატონი ტიფო არა სჯობია? ახალგაზდაა, მხიარული, ლამაზი...

არჩილი. მხიარული, ლამაზი!... სულელი ხარ, ჩემო ვარდო, სულელი და მისთვის ამბობ...

ვარდო. ვენაცვალე ჩემს კნიაზს, მე ის ძალიან მიყვარს... ხა, ხა, ხა! მეც ვუყვარვარ მგონია... ლამაზი თვალები გაქვსო... ხა, ხა, ხა! ისეთს პოლსაპოშკებს და კაბას გიყიდი, რომ მთელი ქვეყანა შენ გიცქეროდესო... ვენაცვალე იმას... (ცეკვავს და თანაც ღიღინებს).

არჩილი. სულელო, ბალღო, უბედურო!.. (მოისმის ტიფოს სიმღერა).

ვარდო. სუ! კნიაზი მოდის! გავიქცევი, თორემ დამიჭერს... (გაიქცევა და შეეხეხება კარებში ტიფოს; ტიფო იჭერს და არ უშვებს).

გამოსვლა მეორე.

იგინივე და ტიფო.

ტიფო. ვერ წახვალ, ვერა! (კალერსება და კისს იღებს) ლად მილბიხარ, ჩემო ცუგრუმელავ? ლად დამიფთხი, ჩემო მტრედო? ვისი გეშინია? შენ ხომ ჩემი ხარ, მე ხომ შენი ვარ! მთელი ქვეყანა შენ გენაცვალოს! მოდი ერთი დაგიკოცნო ეგ ჟუჟუნა თვალები... (ჰკოცნის ძალით) ოჰ, რა ტკბილია!... (მღერის).

„ისევ შენ და ისევ შენ,
ჩემო ტურფა, ლამაზო,
ყველა შენ გენაცვალოს,
მოციმციმე ალმაზო!“

ვარდო. გამიშვით, კნიაზო, გამიშვით... სირცხვილია...(გავარდება კარში).

ტიფო. (არჩილს დაცინვით) ააა, ბატონს არჩილს ვახლავარ! შენც აქ ყოფილხარ! უთუოდ ოცნებობდი... ოოო, ვიცი, კარგი რამ არის ოცნება!.. ტკბილია!..ერთს წამს ფრთებს შეისხამ და ამოჰყოფ თავს ვინ იცის სად!.. ცხრა მთას იქით: ინდოეთში, სტამბოლში, ამერიკაში... შეეპარები საწოლში მშვენიერს ახლად გადაფურჩვნილს ქალს, მიუახლოვდები და ნაზად პროშტს დააკრავ მხურვალე ტუჩებზედ... მძინარე ქალს რაღაც მეტად საამო გრძნობა უვლის ძარღვებში... დამთვრალი თვალების გახელას ვერ ახერხებს... ნაზად სუნთქავს... უნდა ჩაგეკრას გულში და მეტის ნეტარებით სული დალიოს... შენ-კი ჰკოცნი და ჰკოცნი ტუჩებში... ხა! ხა! ხა! ხომ მართალია, ჩემო არჩილ?..

არჩილი. სრულიად არ მესმის, ბატონო, რას ბრძანებთ!

ტიფო. (მიუახლოვდება) როგორს გუნებაზედ ბრძანდებით ეხლა არჩილჯან? ხომ არაფერი გაწუხებს? ხომ არა სწუხარ, რომ ლილახანა გაგიცვდა, რომ ჩამოგერთო ძველი ბატონობა, რომ პანჩური გკრეს? ხა! ხა! ხა! ა, რას იტყვი, ჩემო არჩილ? გახსოვს, როგორი ყურ-მოჭრილი მონა იყავი ძველის ბატონისა? მისის ბრძანებით რომ დამიჭერდი და როზგით გამასიებდი?.. მოდი ერთი ეხლაც სცადე! (შესჭყვირებს) სცადე-მეთქი!.. ხა! ხა! ხა! არ შეგიძლია განა?!. გაგიფრინდა იმედები!.. მოვიდა მეუფება ახალის ბატონისა... (შესჭყვირებს) თაყვანი-ეც ამ ახალს ბატონს! მუხლი მოიდრიკე მის წინაშე!

არჩილი. ბატონო, რა დაგიშავეთ, რისთვის მტანჯავთ? მუდამ თქვენის ოჯახის ერთგული ვიყავ!..

ტიფო. (მაღლით დააჩოქებს) დაიჩოქე-მეთქი შე არამზადავ!

არჩილი. ღმერთო, რად გამითენე ეს დღე!..

ტიფო. (ყვირის) აქ შემოდით ყველანი!.. შეიტყოს მთელმა ქვეყანამ, რომ მე ვარ აქ ბატონი, სხვა არავინ...

(ყვირილზედ შემორბიან მენიკო, მაია და ვარდო).

გამოსვლა მესამე

იგინივე, მენიკო, მაია და ვარდო.

მენიკო. რას სჩადიხარ, შე შეჩვენებულო, შენა, აბა რას ერჩი ამ საცოდ ვს მოხუცს?

მაია. უიმე, დამიდგეს თვალები, ამას რას ვხედავ! შვილო, შვილო ტიფო! ჰკუაზედ არ შესცდე, ღმერთის არ გეშინია?..

არჩილი. (თავში ხელებს იცემს) ვაი, ვაი, ვაი, ქალბატონო! დაემხო ოჯახი... ძაღლივით მონდობილი ვიყავ ამ ოჯახზედ და ჰხედავ, რას მიშვრებიან!

ტიფო. (დაცინვით) ააა, ბატონებს ვახლავარ!.. მობრძანდით, დაბრძანდით... თქვენ ხომ მემკვიდრეები ბრძანდებით თავადის მიზარბეგ იზმაილიძისა... ტიფო იზმაილიძე-კი თქვენი ყურ-მოჭრილი ყმაა, ფეხთა მტვერი, ქვემძრომი ჰია, რომლის გასრესაც თქვენთვის არაფერს შეადგენს!.. პასუხს თქვენ არავის აგებთ ამაში... ხომ მეუფენო ჩემნო? (მოწი-

(* იხ. „ივერია“ № № 82, 83, 84, 85, 86.

ბელს საზოგადოებას უანდერძა. ახლა ერთი მემკვიდრეთაგანი იწერება, რომ განსვენებულის ანდერძი შესრულებული იქნება და სამოცი თუმანი ფული გადაეცემა საზოგადოებასაო.

⁂ 13 ამ თვეს ს. ვახრონაშენში მეხი დაეცა ერთს მწყემს ტომით მაჭმადიანს და იქვე სული გააფრთხობინა.

⁂ დ. ნაოჯალეევი: მარტვილის ერთ-კლასიანი სასწავლებელი გარდაკეთებულ იქმნა ორ-კლასიან სამინისტრო სასწავლებლად. უმეტესი ღვაწლი ამ კეთილს საქმეში მიუძღვით აქაურს ვაჭრებს.

⁂ ს. მეჯვრისხევი: საშინლად დაგვალონა ამ უამინდობამ. ამ გაზაფხულზედ ერთი რიგიანი დღე არ გვინახავს. საწყალი ხალხი გულ-ხელ დაკრეფილი შესცქერის ცას, მაგრამ ცუდი ტაროსი თავს არ გვანებებს. აპრილის ნახევარში თოვლი მოვიდა და ერთს ჩარექზედ დასდო. თუ ასეთი დარები დაიჭირა, სწორედ დავიღუპებით.

⁂ დ. სოჩა: საძაგელს მდგომარეობაშია აქაური აბანო. აბანოს პატრონი არაფერს სცდილობს მისის გაუმჯობესებისათვის და ფულებს-კი ერთი-ორად გვახდევინებს. ამას წინად ერთი ლეჩხუმელი თავადი კინაღამ არ გაფუფქეს. კარგი იქნება ყურადღება მიაქციოს, ვისიც ჯერ არს.

⁂ ს. თიანეთი: აქაურის წიგნთსაცავის სასარგებლოდ წარმოდგენა იქმნა გამართული. წარმოადგინეს „ადვოკატები“ და მათიკოდგან მესამე მოქმედება. საზოგადოება ბლომად დესწრო და ძალიან ნასიამოვნებიც დარჩა, დიდის მადლობის ღირსნი არიან, ვინც-კი მონაწილეობა მიიღო ამ წარმოდგენაში და განსაკუთრებით კნ. ეკ. ვაჩნაძისა, რომლის თაოსნობითაც არა ერთხელ იმართება სხვა-და-სხვა გასართობი საღამოები და თითო-ოროლა შაურიც რჩება ჩვენს საწყალს წიგნთ-საცავს.

## ტფილისის საბჭოს კრება.

ორშაბათს, 24-ს აპრილს, ტფილისის საბჭოს ჩვეულებრივი კრება ჰქონდა, რომელზედაც დაესწრო 64 ხმოსანი (ორი მათგანი მოვიდა კენჭის ყრის დროს). წინანდელ კრების ოქმების წაკითხვის შემდეგ, საბჭომ წერილებით დაასახელა კანდიდატები ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ. 47 ხმოსანმა დაასახელა თავ. ნიკოლოზ ვასილის ძე არღუთინსკი-დოლგორუკი, ორმა ხმოსანმა დაასახელა თავ. კონ. ალ. ბებუთოვი, ბ. ბ. დოლუხანოვი, ევანგულოვი, ივანენკო, ბაბოვი და შახ-აზიზოვი დასახელებულ იქმნენ თითო წერილით, რვა ხმოსანს სრულიად არავინ დაუნიშნავს. ყველა დასახელებულ ხმოსნებმა უარი განაცხადეს კენჭის ყრაზედ, გარდა თ. ნ. ვ. არღუთინსკისა. სანამ კენჭის ყრას შეუდგებოდნენ ქალაქის მოურავის თანამდებობის ალმასრულებელმა ბ. ივანენკომ გამოაცხადა, რომ ნ. ვ. არღუთინსკი თანახმაა ემსახუროს ქალაქსაო. შემდეგ საბჭო შეუდგა კენჭის ყრას, რომლით აღმოჩნდა: თავ. ნ. ვ. არღუთინსკის ამოუვიდა 54 თეთრი და 10 შავი. ა. ა. ივანენკომ გამოაცხადა, რომ ქალაქის მოურავად ამორჩეულ იქმნა თავადი ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკიო, რასაც დამსწრე საზოგადოება დიდის ტაშის-ცემით მიეგება.

როდესაც ზემოდ დასახელებულნი კანდიდატები კენჭის ყრაზედ უარს აცხადებდნენ, ბ-ნმა შახ-აზიზოვმა ამნაირად განმარტა თავისი უარი: „თუ ჯამაგირს 20 ათას მანეთს მომცემთ და დამინიშნავთ უფრო ნიჭიერ თანაშემწეთ, ვიდრე ახლა არიან, მაშინ მე თანახმა ვიქნები ქალაქის მოურავობა ვიკისროო“. ქალაქის მოურავის ამორჩევის შემდეგ ხმოსანმა დოლუხანოვმა გაახსენა კრებას შახ-აზიზოვის ზემოდ მოყვანილი სიტყვები, სთქვა, რომ ამ სიტყვებით შახ-აზიზოვმა შეურაცხყოფა მიაყენა გამგეობასა და საბჭოს, რომელმაც გამგეობა ამოირჩიაო, და რომ საჭიროა საბჭომ რაიმე საშუალებას მიჰმართოს ხმოსნის შახ-აზიზოვის წინაალმდეგაო. გამგეობის წევრმა ბ. ხოსროევმა მოიწონა ევანგულოვის წინადადება და სთქვა, რომ საჭიროა ვიხმაროთ ხოლმე რაიმე ღონისძიება ამგვარ შეურაცხყოფის წინაალმდეგაო, გამგეობის მეორე წევრიც თავ. პ. მ. არღუთინსკიც იმავე აზრისაა, რომ საბჭომ უნდა გამოუცხადოს გამგეობას—თანაუგრძნობს იგი შახ-აზიზოვის სიტყვას, თუ არა; გამგეობამ უნდა იცოდესო, რა აზრისაა გამგეობის მოღვაწეობის შესახებ საბჭო, რის შემდეგ გამგეობას ეცოდინება, დარჩეს თუ არა სამსახურშიო. თ. არღუთინსკის უპასუხა მ. ი. თამამშევმა, რომელიც ამ შემთხვევას არ სთვლის ისეთ სამნიშვნელოდ, რომ ღირდეს მის გამოიმის განცხადება—ღირსეულად ასრულებს გამგეობა თავისს დანიშნულებას თუ არა. ამავე აზრისაა ბ-ნი ხუდადოვიც. შახ-აზიზოვი სწუხს, რომ მის ნათქვამს სიტყვებს ასეთი შედეგი მოჰყვა; იმას სრულიადაც არ ჰსურდა შეურაცხ-ყოფა მიეყენებინა გამგეობისათვის. „მე თქვენც გთვლით ნიჭიერად, სთქვა შახ-აზიზოვმა მაგრამ ქალაქის მოურავად დავდგები მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენზედ უფრო ნიჭიერნი თანაშემწენი იქნებიან ამორჩეულნიო.“

ბ. ივანენკოს აზრით, არ ღირს ამდენ სალაპარაკოდ შახ-აზიზოვის სიტყვა; ჩვენ ყველანი მიჩვეულნი ვართ შახ-აზიზოვის მკვახე ლაპარაკსა და არ უნდა გვიკვირდეს და ვაქცევდეთ ამისთანა ყურადღებასაო. რამდენმამე ხმოსნებმა განაცხადეს, რომ ბ. დოლუხანოვი ხმოსნობას თავს დაანებებს, თუ საბჭო არ დასჯის შახ-აზიზოვს და თავისს სიტყვებს უკანვე არ დაიბრუნებსო. ბ. ბ. თამამშევი და იოანისიანი ამბობენ, რომ შახ-აზიზოვი თანახმა გახდება—წაიღოს უკან თავისი სიტყვები, რათა არ გამწვავდეს ხმოსანთა შორის უთანხმოებაო. ბ. შახ-აზიზოვი მართლაც დასთანხმდა და ბოდიში მოიხადა.

## კორესპონდენცია.

**ს. ჭიათურა, 20 აპრილი.** ოცს აპრილს შავის ქვის მაწარმოებელთა კრება იყო დანიშნული. ასარჩევი იყო კომიტეტის სამი წევრი და სამი მათი კანდიდატი, (ამ კომიტეტს აქვს დავალებული შავის ქვის მწარმოებელთაგან ვაგონების განაწილება მწარმოებელთა შორის, უსაჭიროეს საგნებზედ შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობასთან და სხ.). კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ბ-ნ ნ. ღოღობერიძე. შემდეგ არჩეულ იქმნენ კომიტეტის წევრებად ბ-ნი გ. ზდანოვიჩი, ბ-ნი ფ. სოლოლიაკი და ბ-ნი პ. წულუკიძე; მათ კანდიდატებად აირჩიეს ბ-ნი ს. აბდუშელიშვილი, მთა-მადნის ინჟენერი გ. დეკანოზიშვილი და ბ-ნი აიდაროვი.

ბ-ნმა არდიშვილმა აღძრა კითხვა ფოსტის დაწესების შესახებ და ითხოვა საზოგადოებისაგან დახმარება (ზოგს ფული წარდგენილიცა ჰქონდა დღემდე). საზოგადოება თანა-გრძნობით მოეკიდა და მრავალმა მოაწერა ხელი. შემდეგ ილაპარაკა ეკკლესიის უქონლობაზედ და საზოგადოებას სთხოვა, თავისი აზრი გამოეთქვა ამაზედ. მართალია ეკკლესია „მღვიმის ღვთისმშობლის მონასტერი“ გვაქვს, მაგრამ ჭიათურაზედ $1^1/_2$ ვერსით დაშორებულია, და ზამთარში ტალახისა და შეუმართის გამო ვერ მიდის ხალხი იქ ღვთის სავედრებლად.

აქ მყოფთ ერთხმად დაადგინეს, ვიშუამდგომლოთ უმაღლეს მთავრობასთან, რათა მოგვცეს ეკკლესიის ასაშენებლად თანხა იმ ფულიდგან, რომელიც იკრიბება თითოეულ გადაგზავნილ ფუთს ქვაზედ $^1/_2$ კაპ. და რომლის დანიშნულებაც გზების შეკეთება, შტეიგერების დაქირავება, საავადმყოფოს გახსნა და ღარიბ მუშა ხალხზედ უფასოდ წამლის დარიგება აფთიაქიდგან და სხვ., აღძრული იყო აგრეთვე ლაპარაკი შესახებ იმისა, რომ მუშა ხალხისათვის კასსა იქმნას დაარსებული და შეგროვილ თანხიდგან მიეცეს შემწეობა იმ ღარიბ მუშათა დარჩენილ ცოლ-შვილთ, რომელთაც მხოლოდ დღიური საზრდო ეძლევათ და ბოლოს ხდებიან უბედურობის მსხვერპლად მღვიმე-მაღაროებში მუშაობის დროსაო; დავაწესოთ გარდასახადი თითონ მუშების ქირაზედ, მაგალითად თუნდა ყოველ მანეთიდგან სამი კაპ. გამოვურიცხოთ მუშებს კასსაში შესატანად და ამით რამდენადმე მაინც შევუმსუბუქოთ ცხოვრება უბედურად დარჩენილ ქვრივ-ობლებსაო; ვიშუამდგომლოთ მთავრობასთან, რათა დამტკიცებულ იქმნეს ამის შესახებ წესდება. ბოლოს წაკითხულ იქმნა მოწერილობა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლების დირექტორისა შავის ქვის მწარმოებელთადმი, რათა ამ უკანასკნელებს ს. ჭიათურაში გაეხსნათ თავიანთის ხარჯით სამინისტრო სკოლა. ბ-ნ გ. დეკანოზიშვილმა აუხსნა კრებას, რომ ჯერ რომელიც დაგვიარსებია, (სამრევლო სკოლა) რამდენისამეპიროთა მეცადინეობით ისიც არ არის უზრუნველ-ყოფილი ნივთიერად, ძლივ-ძლივობით შევინახეთ დღემდე, თუ შემოწირულებით და თუ სხვა საშუ-

---

წებით) ნუ დასტუქსავთ მონასა თქვენსა, — მიუტევეთ მას შეცოდებანი მისნი, ვითარცა უგუნურს…

მაია. (მიუახლოვდება და უნდა მოეხვიოს) შვილო, შვილო ტიფო, რაებს ამბობ, გენაცვალოს დედა-შენი! რად ხარ ეგრე გულ-ნატკენი? ყველაფერი შენია დედა-შვილობამ… ვინ გედავება, შვილო?

ტიფო. (მწარის ღიმილით) ვინ მედავება! მედავებით მაგრამ არა უშავს-რა, წამალიც მოგიძებნეთ! მერე რა წამალი? ისეთი, რომ დღეს აქ ბრძანდებით და ხვალ, ერთიც ვნახოთ, ცივს ქვეყნებში ამოჰყოფთ თავს!..

მენიკო. საცოდავო, გაიქენთები ღვინით და რაებს როტავ. თვითონ არ იცი!

ტიფო. როგორ არ ვიცი, ჩემო კარგო!.. მე მოგახსენებთ იმ ცივს ქვეყნებზედ, ციმბირს რომ ეძახიან…

მენიკო. შენ თვითონ ხარ, საცოდავო, საციმბირო, რომ პატრონი გყავდეს… მშობელს დედას აწუხებ, დას შეურაცხჰყოფ… შენს სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია!…

ტიფო. (ხმალს იშიშვლებს) ხმა ჩაიკმინდე, შე არა წმინდა შენა, თორემ ლუკმა-ლუკმად აგკუწავ! (მაია შეჰკივლებს და წინ გადაეღობება ტიფოს; საზოგადო ალიაქოთია; ბოლოს მაიას გული წაუვა და ტახტზედ დაეცემა).

მენიკო. მიშველეთ, წყალი! დოხტურთან გაიქეცი არჩილ! საბრალო დედავ! ვაი ჩემს თავს! (კარდო შემოარბენინებს წყალს და ასხამს მაიას, რომელიც ნელ-ნელა გამოერკვევა).

ტიფო. ხა! ხა! ხა! ხა! ხმალს შეუშინდნენ! ქურდობას, „პადლოგს“-კი არ შეუშინდნენ!.. ვინ არის ტიფო იზმაილიძე, ბატონებო, მემკვიდრეები ჩვენა ვართო! (ცოტა სიჩუმის შემდეგ) ეჰ, ერთი მეც შევრჩი ამ გომბიოებთან ლაპარაკს! იქ-კი, პოლოსას ბაღში, ძმა-ბიჭები მიცდიან… მშვიდობით ქალ-ბატონებო… გირჩევთ-კი, რომ საციმბირო საგზლის მომზადებას შეუდგეთ… (გადის სიმღერით) „ისევ შენ და ისევ შენ…“

მაია. შვილო, მენიკო, ვკვდები… ვკვდები… გამიყვანე ჩემს ოთახში..

მენიკო. (ეალერსება და ჰკოცნის) ნუ დედა, გენაცვალოს შენი მენიკო!… სასიკვდილო რა გჭირს!… მე შენ არ მოგკლავ… ეხლავე ვალიკო მოვა და მოგარჩენს… წავიდეთ შენს ოთახში,—იქ უფრო კარგად მოისვენებ… დამშვიდდი, ჩემო დედა!.. (მენიკოს და კარდოს გაჰყავთ მაია).

გამოსვლა მეოთხე.

მენიკო (მარტო).

მენიკო. ღმერთო, ღმერთო, რისთვის მტანჯავ ეგრე! რა დაგიშავე? მთელი ქვეყანა აღჭურვილა ჩემ წინააღმდეგ… გარს მახვევია ვიღაც ბარბაროსები… ლამის ერთიანად ჩანმთქან… ელიაძე ციმბირს, კატორგას მიქადის, გამხეცებული ტიფო ხმლით მემუქრება… პატრონი, მფარველი არავინა მყავს… მე იმოდენა ზნეობრივი ძალა მაქვს, რომ არაფრად მივიჩნევდი მთელის ქვეყნის რისხვას, შევაფურთხებდი ზიზღით ბარბაროსებს; მაგრამ მე ის მიკლავს გულს, ის მჩაგრავს, რომ მელიტონმაც დამივიწყა… დამივიწყა ჩემმა სასოებამ, ჩემმა ღმერთმა! (ქვითინებს) წელიწადი გადის, რაც მისგან ერთი წერილიც არ მიმიღია!.. ცოცხალია თუ მკვდარი არ ვიცი!.. რომ მომკვდარიყო, ხომ არ დაიმალებოდა, ხომ შევიტყობდი!.. არა მე იმას დავავიწყდი, შემიძულა!.. რისთვის, რადა? ხომ მე მისგან რაიმე მსხვერპლს არ ვთხოულობდი!.. მე ის მიყვარს, როგორც ჩემი სასოება, ჩემი ანგელოსი!.. მე მისი წერილი, მისი მოკითხვა ამატანინებდა ადვილად ამ ზნეობრივს ტანჯვას, ამ ჯოჯოხეთურს წამებას… ეხლა-კი სრულიად უმწეოდ, უპატრონოდ ვდივარ! (შემოდის ვალიკო)

გამოსვლა მეხუთე.

მენიკო და ვალიკო.

მენიკო. (მიეგებება) ვალიკო, გენაცვალე, ნახე თუ არა დედა ჩემი? როგორ ატყობ?

ვალიკო. Пустяки! არა უშავს-რა! შიშის გამო ცოტა გულის ძგერა ასტეხია… Ахъ, негодяй этотъ вашъ Типо! ეგ რა ამბავია, ჩემო მენიკო, თითქოს გიტირიაო, თვალები გაქვს დაწითლებული?

მენიკო. ეჰ, ჩემო ძმაო, ვსტირი, ვსტირი! სატირალი მაქვს და მისთვის ვსტირი!.. ვიტანჯები, ვალიკო, ვიტანჯები ისე, როგორც არავინ მთელს დედა-მიწაზედ!.. პატრონი არა მყავს!.. ოჰ, ღმერთო, რა უბედური ვარ!..

ვალიკო. როგორ არა გრცხვენია, მენიკო, შენ და უბედური!..

მენიკო. უბედური ვარ, უბედური, დამიჯერე!.. პატრონი, მფარველი არა მყავს!..

ვალიკო. შენ მე მტკიცე ხასიათის ქალი მეგონე… დამჯდარხარ და ბალღივით სტირი…

მენიკო. ყველაფერს საზღვარი აქვს, ძმაო. ვიტანჯები…

ვალიკო. შენ თუ უბედური ხარ, მაშ ვინღა არის ბედნიერი ქვეყანაზედ?.. აუარებელი ავლა-დიდების მემკვიდრე ხარ!.. პატრონი თუ გინდა, განა ვერ გაიჩენ?!.. მთელი ქვეყანა შენ შემოგნატრის!.. იცი, რა გითხრა, ჩემო მენიკო, მე შენთვის ხომ იცი კარგი მინდა: ბევრს ნუ ჰფიქრობ, გათხოვდი… დამშვიდდები, პატრონიც გეყოლება და მფარველიც…

მენიკო. მერე ვის წავყვე?

ვალიკო. განა ვარლამ ელიაძეს კაცი სჯობია! ხომ იცი, რომ უყვარხარ?

მენიკო. ეჰ, ძმაო, შენც ამას ამბობ!.. თუ-კი არ მიყვარს, აბა როგორ წავყვე?

ვალიკო. Вздоръ! შეგიყვარდება… ხომ გაგიგონია: Стерпится—слюбится!..

მენიკო. მიკვირს, ვალიკო, რომ შენც მაგგვარის აზრისა ყოფილხარ!… განათლებულს კაცს გეძახიან!.. განა ძალით სიყვარული შეიძლება?…

ვალიკო. იცი, რა გითხრა, ჩემო კარგო: ვერ დაგიმალავ,—ეხლა ელიაძის უარის თქმა ძალიან საშიშიც არის… ის უთუოდ აგისრულებს შენ მუქარას და მაშინ ხომ იცი, რაც მოგელის!…

მენიკო. ხა! ხა! ხა! შენცა გწამს ელიაძის ყოვლად-შემძლებლობა? მაშ არ ყოფილა სამართალი ქვეყანაზედ!.. მაშ ელიაძეებს ჰკავებიათ ხელში მთელი ქვეყნის ბედი! ელიაძეები ხომ უწყალონი არიან, ხომ იმათ მგელივით უყვართ სისხლი! მაგრამ არა, ჩემო ძმაო, ნუ გჯერა, რომ ქვეყანა მათ საყლაპავ ლუკმად გახდეს!..

ვალიკო. ნება თქვენია… მე-კი გამიფრთხილებიხართ…

მენიკო. დავანებოთ ამ ლაპარაკს თავი, ვნახოთ რაც იქნება… ეხლა მე შენთან ერთი საკითხავი მაქვს და იმედია, მეტყვი სიმართლეს გულ-ახდილად, როგორც ნათესავს, როგორც დას… მითხარი, ვალიკო, რა გაგიგონია ამ ერთის წლის განმავლობაში მელიტონზედ? სად არის თუ იცი, ან რასა შვრება?

ვალიკო. განა შენ არ გეცოდინება მისი ამბავი? მე არაფერი ვიცი…

ალებითაო,— ჩემის აზრით, ვინემ სამინისტრო სკოლას დავაარსებდეთ, უმჯობესია ამ სკოლას წარვუძღვეთ წინ და მისი მდგომარეობა გავაუმჯობესოთო. კრებამ მოიწონა ბ. დეკანოზიშვილის აზრი და უარი განაცხადა სამინისტრო სკოლის დაარსებაზედ და აღუთქვეს სამრევლო სკოლას შემწეობა.

შემდეგ გაიმართა ბიბლიოთეკის სასარგებლოდ ხელის მოწერა და უნდა ვსთქვათ, რომ საზოგადოებამაც თანაგრძნობა გამოუცხადა; კრება დაიშალა ნაშუადღევის 3 საათზედ.

ვ. ბერიძე.

—

**სად. გომი.** ხშირად გვესმის ხოლმე მათგან, ვინც ჟურნალ-გაზეთებს იწერს აქეთ, რომ გომის სადგურიდგან თითქმის მთელის წლის ჟურნალ-გაზეთების მესამედს ვერ ვღებულობთო; არ ვიცით ვის მიაქვს და ვისთვისაო. ამის შესახებ ამას წინადაც იყო დაბეჭდილი „ივერიაში“ მგზავრის შენიშვნა და, სხვათა შორის, იგი ამბობდა, რომ ამ საგანში დანაშაული აქაურ სადგურის მოხელეებს უნდა ჰქონდეთო, რადგანაც მათი მოვალეობაა, რომ გაუფრთხილდნენ ამანათსაო. ახლა ამ ვაჟბატონებს ალბად უფიქრიათ: მუქთად რად გავისარჯოთო და ამიტომ დაუწესებიათ შესანახის გარდასახადი. გაზეთებს ვინლა ჩივის, ბატონო! ხათაბალა ის არის, რომ წერილებსაც აღარ გვანებებენ, თუ თითოეულს წერილზედ 3 კაპ. არ გადავიხადეთ. ამ ერთის კვირის წინად ერთს თავადს უანგარიშეს 75 კაპ. გარდასახადი ერთის თვის მოსულ წერილებში და არწმუნებდნენ, რომ მოწერილობა ესეთი მოგვივიდაო, ამ დროს მოვიდა თვით სადგურის უფროსიც და თავადი შეეკითხა გარდასახადის შესახებ და იმანაც უპასუხა: „ვალდებული ხარ გარდაიხადოო“. თავადმა მაინც არ მისცა ხსენებული ფული და უთხრა, რომ რატომ აქამდის არ შეგვატყობინეთ, თუ ეგეთი კანონი არსებობს და როცა დავრწმუნდები სინამდვილეში, მაშინ გადავიხდიო.

სწორედ რომ ცუდი მოვლენაა. უმრავლესობას წერილების გასაგზავნი ფულიც უჭირთ და მისაღებს საიდგან-ღა იშოვნიან? ამ მიზეზით, ვგონებ, ხაზინასაც დააკლდება სარგებლობა და ხალხსაც აბა რა კარგი საქმე მოუვა?

მაინცა და-მაინც კარგი იქნება, ვიცოდეთ ეს სამ-სამი კაპიკი ვის სასარგებლოდ მიდის, ხაზინისა თუ სადგურის მსახურებისა, ან ვისი განკარგულებაა ამისთანა გარდასახადის აღება, თვით სადგურის მოხელეებისა, თუ მთავრობისა?

გ. ხ-ე.

---

## ნაწყვეტი.

—

ვერ მივაღწიე საწადელს,
მივდივარ, მწარედ ვსტირია,
სიმნი გამიწყდნენ ჩანგისა,
ბედით ვარ, განაწირია.
არ შემიბრალა არავინ,
ვარ უპატრონო, მწირია,
ტანჯვითა გამოზრდილი ვარ,
დღე მადგას გასაჭირია!..

გოჩა ჯიხაშელი.

---

## მცირე შენიშვნა.

—

„ივერიის“ № 82-ში დაბეჭდილია, ახალ-სენაკიდგან მოწერილი ერთი უმზგავსი, ახირებული და სიმართლეს მოკლებული ახალი ამბავი, რომელშიაც ამგვარი სიტყვების რახა-რუხია... „ჯეროვანად ვერ აფასებენ“—„მკითხველი ძალიან ნაკლებად ჰყავს“.—„ნუ თუ მარტო აშორდია აცხოვნებთ ამთ!? და სხ... გვიკვირს ღმერთმანი, რა დაფასებას ამბობს პატივცემული ავტორი? ვინ შეეხვეწა, ვინ სთხოვა, შენი ჭირიმე, შრომა დამიფასეო?!.. ან სიცრუეს რადა კადრულობს ბ-ნი ავტორი, როდესაც ამბობს: „ყოველ წლობით სამკითხველოს 20—დე ჟურნალ-გაზეთი მოსდის თავართქილაძის საკუთარის ხარჯითო“ და სხვა.. რომ წრევანდლამდე გაზეთ-ჟურნალი არ ჰქონებია სამკითხველოს, ეს, გარდა პატივცემულის ახალის მოამბისა, ყველამ უკედ იცის.. იცის აგრეთვე, გასულ წელში სრულებითაც არ არსებობდა სამკითხველო!.. მაშ, რაღამ აიძულა ავტორი ამაებისათვის?! წელს მართალია სამკითხველოც არის და ჟურნალ-გაზეთებიც მოსდის და მსურველს შეუძლია წაკითხვა; ხოლო, ჯერჯერობით, თუ სამკითხველოს ნაკლები მკითხველი ჰყავს, ეს ჩემის აზრით, იმისი ბრალია, რომ ახლად დაარსებულია და ბევრს არც-კი გაუგია, მაგრამ იმედი მაქვს, როცა შეიტყობენ, მკითხველთა რიცხვიც მოიმატებს...

კ. თავართქილაძე.

ოზურგეთი.

---

## რუსეთის ცხოვრება.

—

გაზ. „ნოვ. ვრემ.“-ს დეპეშით ატყობინებენ გემის „კოცებუს“ ზღვაში დაღუპვას. „კოცებუ“ იმავე ადგილას შთაინთქა, სადაც გემი „ვლადიმირი“ დაიღუპა. იმ დროს, როცა გემი „კოცებუ“ იძირებოდა, გემმა „პეტრემ“ მოუსწრო და გადაარჩინა რამდენიმე მგზავრი, რომელნიც 17 აპრილს ოდესაში მოიყვანა. დაიღუპნენ შემდეგნი: ლაზარევიჩი, კომანდირი გემის „რიურიკისა“, ერთი ოცდა-ათის წლის ქალი, მზარეული და ზარჩუკი, იუნგი ბონდაროვი და ბოცმანი ბონდარენკო. დაჯახების შემდეგ გემი „კოცებუ“ მხოლოდ ოცს წუთს გაჩერდა წყალზედ, მერე დაიწყო წინა ნაწილით ძაძირვა. თუმცა საცურავი ბუშტები ბევრი იყო გემზედ, მაგრამ იმისთანა ალიაქოთი ადგა გემზედ, რომ ვერ ისარგებლეს ამ საცურავებით. ოდესაში ერთი მძიმედ დაშავებული მოიყვანეს; დანარჩენნი სუმბუქად არიან დაჭრილნი. შტურმანს ტურბაევს შეენიშნა სინათლე პირ-დაპირ მომავალ გემზედ, მაგრამ თვით გემი მას პატარა იალქნიანი ნავი ჰგონებოდა. კაპიტანს სკუფატს უნდოდა დეპეშით შეეტყობინებინა, გემი უკან დაეწიათ, მაგრამ ამ დროს უკვე დაეჯახა კიდეც და გემი წყალში შთაინთქა.

—

პეტერბურგის გაზეთები იტყობინებიან, რომ ოცს აპრილს ფინანსთა მინისტრს წარუდგენია სახელმწიფო საბჭოში წესდება წვრილ კრედიტის შესახებ.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ლონდონიდგან გაზ. „ნოვ. ვრემია“-ს ფეპეშით ატყობინებენ, რომ

„აქაური გაზეთები სიხარულით ეგებებიან საფრანგეთის ზოგიერთ გაზეთების მიერ გამოთქმულს უკმაყოფილებას საფრანგეთის რუსეთთან მიმხრობაზედ, აღმოსავლეთ აზიის საქმეებში.

ორი პარისის გაზეთი „La Libre Parole“ პირ-და-პირ ამბობს:

„რუსეთმა საფრანგეთი ჯერ კილში შეიტყუილა და ახლა გერმანიასთან ერთად მოქმედებაში იაპონიის წინააღმდეგო. „Intransigeant“ აღტაცებაში მოდის ინგლისის პოლიტიკით. ანრი როშფორი თუმცა რუსეთს არ ასახელებს, მაგრამ დიდს უკმაყოფილებას აცხადებს იმაზედ, რომ ვითომც ბრესტის ქარხანაში ამზადებდნენ გერმანიის ბაირაღებს საფრანგეთის სამარხომალდებისათვის.“

ჩვენ არა გვგონია ამ გაზეთების მიერ გამოთქმულმა აზრმა იმოქმედოს საფრანგეთის მთავრობაზედ და რუსეთსა და საფრანგეთს შორის გულ-მხურვალე მეგობრობა შეირყეს ამით. მაინცა-და-მაინც თუ ეს ასე მოხდა, ბრალი ჩვენს მთავრობას არ დაედება. როგორც ჩვენთვის არის საფრანგეთის მეგობრობა ძვირფასი, ისე საფრანგეთისთვის უნდა იყოს ჩვენი მეგობრობა სასიამოვნოო, დასძენს გაზ. „ნოვოე ვრემია“.

---

## უცხოეთი

—

„ნოვოე ობოზრ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ გაზეთ „Fremdenblat Presse“-ს სიტყვით ხონთქარმა მიიღო პროექტი მცირე აზიის სომეხთა ხუთს ოლქში თვით-მმართველობის შემოღების შესახებაო“.

—

**ავსტრო-უნგრეთი.** ავსტრო-უნგრეთი, როგორც მის აწინდელ ყოველ-დღიურ მწერლობიდგან სჩანს, არ ერევა აღმოსავლეთ აზიის საქმეებში, რადგანაც ეს მისს ინტერესებს არ ეხება. მას არ აკვირვებს რუსეთის მოქმედება, რადგანაც რუსეთს ახლა ეძლევა დრო შეისრულოს თვისი დიდი ხნის გულის წადილი აღმოსავლეთს აზიაშიო. საფრანგეთის მოქმედებაც მართლდება იმითი, რომ მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფორმოზას კუნძულს; აგრეთვე საფრანგეთს უნდა, აამოს რუსეთსაო. ამ ორ სახელმწიფოს შესახებ ამ აზრისაა ავსტრო-უნგრეთი; ხოლო რაც შეეხება გერმანია ას, განაგრძობენ იქაური ჟურნალ-გაზეთები, იგი უნდა ხელმძღვანელობდეს ან იმით, რომ მას უნდა რუსეთის ყურადღება ცალმხრივ აღმოსავლეთს აზიას მიაქციოს, ან იმით, რომ გერმანიას არ უნდოდა, რომ მარტო რუსეთსა და საფრანგეთს მიეღოთ მონაწილეობა აღმოსავლეთ აზიის საქმეებში, ან კიდევ მით, რომ გერმანია ბისმარკის პოლიტიკით ორ კურდღელს გამოუდგა ერთადაო.

---

მენიკო. რად აირიე ეგრე, ვალიკო? ფერიც გეცვალა! შენ ყველაფერი იცი... უნდა მითხრა... გთხოვ, ვალიკო, გევედრები... (დაუჩოქებს).

ვალიკო. (წამოაყენებს) ოჰ, რა საკვირველი ადამიანი ხარ! გთხოვ, დამშვიდდე... რომ არ მაიძულებდე, თავისს დღეში არ გეტყოდი, რადგან ვიცი, რომ შენ გიყვარს მელიტონ ეგრიშვილი და მისი ცუდი ამბავიც გეწყინება...

მენიკო. (შეჰკივლებს) მოკვდა? მოკვდა?

ვალიკო. არა, არა მეთქი, ღმერთს ვფიცავ, მენიკო!.. დამშვიდდი და ყური დამიგდე...

მენიკო. გთხოვ, ვალიკო, ნუ მტანჯავ, მალე მითხარი...

ვალიკო. მელიტონი არ მომკვდარა. ცოცხალია... მხოლოდ უნივერსიტეტისთვის დიდი ხნია თავი დაუნებებია... ამხანაგებს თურმე არ ეკარება, სულ მარტოდ-მარტო დადისო... ჭკუაზედ შეცდომა ეტყობაო...

მენიკო. როგორ თუ ჭკუაზედ შეცდომა? ეგ შეუძლებელია, ეგ სიცრუეა!.. მელიტნს ბევრი მტრები ჰყავს, უთუოდ ისინი მოსჭორავდნენ...

ვალიკო. ნეტავი მართლა! მეც, მერწმუნე, მესიამოვნებოდა, მაგრამ საუბედუროდ, რასაც ვამბობ, სწორედ მართალია,—ერთმა ჩემმა ამხანაგმა კერძოდ მომწერა...

მენიკო. მელიტონ, მელიტონ ჩემო სასოებავ, ჩემო ანგელოსო! (ქვითინებს) წავალ, წავალ, მოგძებნი, სადაც უნდა იყო და გნახავ!...

ვალიკო. დამშვიდდი, დამშვიდდი, მენიკო!... როგორ არა გრცხვენია! (შემოდის მაია.)

გამოსვლა მეექვსე.

(იგინივე და მაია).

მაია. შვილო, შვილო მენიკო, რა ამბავია? რა დაგმართვია?

მენიკო. არაფერი დედა-ჩემო...

მაია. (მოეხვევა) როგორ თუ არაფერი? შენ გენაცვალოს შენი დედა... შენი ქვითინი ძილში მომესმა და წამოვვარდი... რად გიტირია შვილო?

მენიკო. ისე... ტყუილად... მომესურვა, დედა-ჩემო... შენ ხომ კარგად ხარ, გენაცვალე?...

ვალიკო. საკვირველი ქალი შეიქნა, ბიცოლა, ეს თქვენი მენიკო... ვგონებ, ნერვები აქვს აშლილი... სულ უმიზეზოდ დაიწყო ქვითინი!...

მენიკო. დედა-ჩემო! ნუ გამიწყრები, გენაცვალე, ერთ რასმეს გკითხავ: იცოდი შენ მელიტონის ჭკუიდამ შეშლა?

მაია. უიმე, დამიდგეს თვალები! ვინ უთხრა? ტყუილია, გენაცვალე... უნივერსიტეტისათვის-კი დაუნებებია თავი, მაგრამ ჭკუიდამ რად შეიშლებოდა!... უთუოდ ავად იქნებოდა და ეხლა კარგად იქნება...

მენიკო. დედა, ნუ გამრისხავ, მე უნდა წავიდე, უნდა ვნახო მელიტონი სადაც იქნება... (ქვითინებს).

მაია. შვილო, შვილო, რას ამბობ? სად წახვალ? მელიტონი რუსეთშია.. ნუ მომკლავ უდროოდ... ღმერთს ნუ დამაგმობინებ...

მენიკო. უნდა წავიდე, დედა... არ შემიძლია...

მაია. (ქვითინებს) ღმერთო, რა დღეს მომასწარ! ვკვდები, მენიკო, ვკვდები და ნუ ჩამატან შენს ჯავრს საფლავში!... შემისრულე ჩემი უკანასკნელი თხოვნა...

მენიკო. რა გინდა, დედა-ჩემო? სთქვი...

მაია. მე არასოდეს წინად-გრძნობას არ მოვუტყუებივარ: ჩემი გული გრძნობს, რომ ჩვენს ოჯახს რაღაც უბედურება მოელის... დავიღუპებით მენიკო... ის საშინელი ელიაძე ჩვენ სიკეთეს არ დაგვაყრის, დაამხობს მამი შენის დიდებულს ოჯახს... გათხოვდი შვილო, წაჰყევი ელიაძეს... იმას შენ უყვარხარ... შენ ის არაფრისათვის არ დაგთმობს...

მენიკო. ღმერთო, ღმერთო, როგორ ვიტანჯები!...

მაია. შვილო, რას მეტყვი?

მენიკო. ოჰ, დედა-ჩემო, გთხოვ, ნუ მტანჯავ შენ მაინც!...

მაია. (ქვითინებს) ვაიმე, ჩემს უბედურს თავს!... არ გებრალები, შვილო, გინდა ჩემი სიკვდილი, გინდა ოჯახის დამხობა!

გამოსვლა მეშვიდე.

იგინივე, სოფიო და ბექანი.

სოფიო. რა ამბავია, ჩემო რძალო? მადლობა ღმერთს ცოცხალი ყოფილხარ!

ბექანი. თითქოს მოკვდიო!..

მაია. ისე იყოს თქვენი მტერი, მე რომ ვარ!

სოფიო. შემოვარდა ის საძაგელი ვარდო, დაიწყო ზუზუნი... კინაღამ ჭკუიდამ შეგვშალა: ქალ-ბატონს ცოცხალს ვეღარ მიუსწრებთო!.. ჩვენც, არიქათ, წამოვცვივდით... მე კინაღამ ფოსტლებით გამოვიქეცი...

მაია. ვკვდები, ჩემო რძალო, სასიცოცხლოს აბა რა მიგავს! ცალკე ავადმყოფობა, ცალკე ჯავრი...

სოფიო. ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა... მართალია? მთელი ქალაქი ამაზედ ლაპარაკობს ეხლა... მიზარბეგის ანდერძი ყალბი გამოდგაო... დიდი საქმე უნდა შესდგესო... უნდა დაგკარგონო... (მაია ქვითინებს).

ბექანი. გავიგონე და, მე და ჩემმა ღმერთმა, გონზედ ვერ მოვსულვარ... აბა მიზარბეგი ყალბს რასმეს როგორ დასტოვებდა!..

მენიკო. (ისტერიულად ხარხარებს) ბიძა ჩემო... ელიაძეს მთელი ქვეყნის გაყალბება შესძლებია—ხომ შეიტყეთ!

ბექანი. ეგ სახუმრო როდია! (კარებში გამოჩნდებიან ვარლამი და კონდრატე).

მაია. (რომ დაინახავს ვარლამს, შეჰკივლებს და მენიკოს წინ დაუჩოქებს) შვილო, შვილო მენიკო, დასთანხმდი, თორემ ვიღუპებით... ვიკარგებით!.. უნდა წაჰყვე ელიაძეს... (ვარლამს) შვილო ვარლამ, ჩემი მენიკო თანხმა წამოგყვეს, ოღონდ ნუ დაგვღუპავ...

მენიკო. ღმერთო, ღმერთო! უბედური დედავ! თანახმა ვარ, დედა-ჩემო, თანახმა... შენთვის, შენთვის შემომიწირავს ეგ მსხვერპლი... (ქვითინებს)

გამოსვლა მერვე.

იგინივე, ვარლამი და კონდრატე.

ვარლამი. (სიხარულით ხელს მოჰკიდებს მენიკოს) გმადლობთ... გმადლობთ... ბედნიერი ვარ...

სოფიო და ბექანი. ბარაქალა, ბარაქალა მენიკო!

ვალიკო. Господа, душевно радуюсь Вашему счастью...

კონდრატე. (ტაშს უკრავს) ვაშა! ვაშა! ოჰ, რა მოხარული ვარ, რომ ამისრულდა გულის წადილი!.. ეხლა შემეძლება დავდგა ერთი ცოცხალი სურათი ჩემის ახალ პოემიდგან... კნიაჟნა მენიკო იქნება დიდის თამარ-მეფის როლში და ვარლამი დავით სოსლანის როლში.. მე ვიქნები რუსთველის როლში... საუცხოვო რამ სურათი იქნება!

მენიკო. (ისტერიულად ხარხარებს ვითამაშებ, ვითამაშებ, ბატონებო, თამარის როლს!..

(ფარდა).

ილ. პონტელი.

(შემდეგი იქნება).

## მუშათა ამბოხება ვენაში.

მთელის კვირის განმავლობაში ავსტრიის დედა-ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმა იყო გამართული მუშათა ამბოხების გამო. პირველად, რასაკვირველია, გაზეთები ალაპარაკდნენ და მექარხნეთა სიტყვით, სწერდნენ, რომ მუშები სამუშაო ფასის მომატებას თხოულობენ, თუმცა-კი ფასები უიმისოდაც აწეულიაო. ამისთანა წერილებმა საზოგადოება აამხედრა მუშების წინაალმდეგ. მექარხნეებმა ჯარის-კაცები გამოითხოვეს და იმათის შემწეობით უნდოდათ დაეწყნარებინათ მეამბოხე მუშები, რომელნიც სხვა მუშებსაც ნებას არ აძლევდნენ ქარხნებში მუშაობისას. ჯარისკაცებსა და მუშებს შეტაკება მოუხდათ და სისხლიც დაიღვარა.

გავიდა ორი თუ სამი დღე და ვენის საზოგადოებამ შეხედულობა გამოიცვალა. ზოგიერთმა ჟურნალისტმა დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ მუშები მართლა ძლიერ შევიწროებულნი ყოფილან და ლუკმა პურის ძებნამ აიძულათ ამბოხება მოეხდინათო. დეპუტატის პერნერსტროფერის გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მუშებს მართლა ულმერთოდ ეპყრობოდნენ მექარხნეები. ამ დეპუტატის გამოძიება ქარხნების ინსპექტორის ჩვენებითაც მტკიცდება; ინსპექტორი ამბობდა, რომ აგურის ქარხნების მუშათა მდგომარეობა მართლა და საზარელიაო.“

ამისდა მიუხედავად ბურჟუაზიის ორგანომ „Neue Freie Presse“ თავისი თანამშრომელი გაგზავნა ქარხნებში და თუმცა ეს გაზეთი მუშათა მოძრაობის წინაალმდეგია, მაგრამ აი, რა დაჰბეჭდა მეორე დღეს:

„ყველაზედ ბევრს აგურს სააქციონერო ამხანაგობის ქარხანა აკეთებსო. ამ ქარხანაში მუშაობს 3,000 კაცი, რომლებიც ყაზარმებში სცხოვრობენ.

მე შევედი ერთ-ერთს ოთახშიო,— ამბობს თანამშრომელი,—ოთახი ზომიერია, ორის ფანჯრით, იატაკი აგურისა აქვს, მაგრამ სულ დამტვრეულია. ზამთრობით ამ ტალახიანსა და ცივს იატაკზედ მუშათა შვილები ფეხ-შიშვლები დადიან ხოლმე. თითოეულს კუთხეში ორ-ორი ტახტი (კროვატი) სდგას, მთელის ოჯახის კუთვნილებას შეადგენს. აქ სცხოვრობს დედა, მამა და შვილები. ყველას თავისი სამყოფელი იატაკზედ ცარცითა აქვს შემოხაზული. ორთა შუა რიცხვით თითო ოთახში 17 კაცი სცხოვრობს და მე მიკვირს, ან-კი როგორ სცოცხლობენო. ხშირად ჩნდება მუშათა შორის სხვა-და-სხვა გადამდები ავადმყოფობა და გარყვნილობა ხომ აუცილებელიაო! ქარხნის მმართველობა ამბობს: ძალიან იაფად უთმობთ სახლებსაო, კვირაში სულ რაღაც 20 კრეიცერს (12 კ.) იხდიანო. გაზეთ „Neue Freie Press„-ის თანამშრომელმა გამოიანგარიშა, რა დაჯდებოდა წელიწადში და აღმოჩნდა, რომ არამც თუ იაფად უთმობენ სახლს, დიდი მოგებაც-კი რჩებათ მექარხნეებსა.

მუშები—მამაკაცები დგებიან ღამის 2 საათზედ და მუშაობაც იწყება, დედაკაცები და ბავშვები-კი დილის 4 საათზედ იწყებენ მუშაობას. დილით საღამომდის განუწყვეტლივ მუშაობენ და როცა სამუშაო ბევრია, დღეში 18 ან 20 საათს ამუშავებენ და ამ ულმერთო მუშაობაში თითოეულს 7—8 გულდენს (გულდენი 30 კ.) აძლევენ კვირაშიო. დასასრულ მუშათა მდგომარეობით შეწუხებული თანამშრომელი დასძენს: „ყველა, ვისაც-კი ცოტაოდენი თანაგრძნობა უღვივის გულში მოძმისადმი, უნდა ეცადოს, რომ ამ საქმეში საზოგადოება ჩაერიოსო“.

ამ წერილმა ისეთი დიდი გავლენა იქონია საზოგადოებაზედ, რომ ყველა ცუდად იხსენიებდა მექარხნეებს. მთავრობამაც ჯარი აღარ მისცა და პირ-იქით უსაყვედურა კიდეც თავგასულს მექარხნეებს. გაწბილებული მექარხნეები იძულებულნი გახდნენ მუშათა ფასისათვის 20% მოემატებინათ. მხოლოდ ვენის მაგისტრატმა განსაკუთრებული კომისია დანიშნა, რომელსაც დაავალა აგურის ქარხნებში მომუშავეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად იღონოს რამე.

---

## თეატრის მატიანე.

Madame Sans Génes.

გუშინ რუსულმა დასმა წარმოადგინა სარდუს ახალი პიესა—„ხეპრე ქალ-ბატონი“. მთელს ევროპაში სარდუ ითვლება საუკეთესო პიესების მწერლად—ისეთის პიესების, რომელნიც სცენიურის მხრით თითქმის უნაკლულონი არიან. ეს პიესაც სწორედ ისე ხელოვნურად, მოსწრებულის სიტყვებით სავსე და ისე, დახლართულის ინტრიგით მიმდინარეობს ბოლომდის, რომ სცენიურის მხრით არაფერი მოეთხოვება.

აი მისი შინაარსი: დიდის რევოლიუციის დროს საფრანგეთში დილით არ გეცოდინებოდა, რა მოგელოდა შუადღეზედ—და შუადღეს ვერ მიხვდებოდი, რა მოგივიდოდა საღამოზედ—ისე დომხალივით აირია ყველაფერი.

სწორედ ამ დროს უბრალო გვარდიის კაპიტანმა ნაპოლეონმა თავი იჩინა ჭკუით, გამჭრიახობით, ომების მოგებით და იქამდის მიაღწია, რომ ერთს მშვენიერს დღეს სამეფო ტახტი ხელთ იგდო და ეკურთხა იმპერატორად—თავისი ძმები სხვა-და-სხვა სამეფოში მეფეებად გახადა—უბრალო სალდათებს—მასთან ნამსახურს სერჟანტებს—მარშლობა, ჰერცოგობა და თავადობა უბოძა. ერთ-ერთი იმისი სერჟანტი ჯვარს იწერს მრეცხელს ქალზედ, რომელიც ნაპოლეონის იმპერატორობის დროს დანციგის ჰერცოგის ცოლად ხდება —რადგან მისს ქმარს ლეფევრს, უბრალო სერჟანტად მყოფს—ეს ღირსება მიანიჭა ნაპოლეონმა. მთელი პიესა ამ მრეცხელ ქალის გარშემო ტრიალებს—ის იგივე უბრალო კილოთი მოლაპარაკე, პირდაპირი, ცოცხალი პარიჟის გოგონა რჩება და მაღალ წოდებამ, ფარჩის კაბებმა ვერ შესცვალეს მისი ხასიათი და ჩვეულებანი. მედიდური ნაპოლეონი სწუხს, რომ ამ გვარს ხეპრე, პირად მთქმელს ადამიანს სასახლეში დიდი ალაგი უჭირავს—ამას-კი ფეხებზედ ჰკიდია ნაპოლეონი და მისი სალონი—როგორიც წინად იყო ცქრიალა, მკვახე, პირდაპირი და მოურიდებელი, ისეთივეა ახლა. აქ ნაპოლეონის დებს დაეტაკება და თქვენ მოწონებულად გამოლანძღავს—იქ თვით ნაპოლეონს, იმ დიდს ნაპოლეონს, რომლის წინაშე მთელი ევროპის გვირგვინოსნები შიშითა თრთოდნენ, შეეჯახება და ისეთ მკვახე-მკვახე სიტყვებს სტყორცნის, რომ გაკვირდებით ამ გაბედულობით. მხოლოდ ყოველ ამ გაბედულობას იგი ხმარობს მართალის საქმისათვის და ისეთის გულ-წრფელობით მოქმედებს, რომ თვით ზარ-დამცემი ნაპოლეონი ქედს იხრის წინაშე მრეცხელ ქალისა. ნაპოლეონი იჭვიანობს თავისს გვირგვინოსანს ცოლს გრაფ ნეიპერთან და მზად არის თავისის კბილებით დაგლიჯოს იგი—ბრძანებს მზის ამოსვლამდის დახვრიტონ. ნეიპერი უბრალოდ უნდა დაისაჯოს და აი, ჩვენი პატარა გოგონა, ეხლა-კი დანციგის ჰერცოგის ცოლი ჩამოვარდება ამ საქმეში და გადაყენებულ პოლიციის მინისტრის ფუშეს დახმარებით ისე გამოხლართავს დახლართულს საქმეს, რომ ნეიპერს სიკვდილისაგან და ნაპოლეონს უსამართლობისაგან იხსნის!. ეს არის მოკლედ შინაარსი პიესისა. მსახიობთა თამაშის გარჩევა ხვალისათვის გადავდოთ.

კ. მესხი.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ივერიის 82№-ში დაბეჭდილი ამბავი განსვენებულის კათოლიკეთა მღვდლის მამა პეტრე მჭედლიშვილის შესახებ სიმართლეს მოკლებულია, რის გამოც პატივი მაქვს გამოვაცხადო, რომ განსვენებულს მამ პეტრე მჭედლიშვილს დარჩა შემდეგი 14134 მ. და 70 კაპ. საკომერციო ბანკის ორი ბილეთით 14000 მან., ორის ბარათით 120 მან. დანარჩენი სახლის ნივთებით; აქედგან უანდერძა ოთხს კათოლიკეთა ეკკლესიას 1,100 მან. ტფილისის პეტრე-პავლეს ეკკლესიას, აგრეთვე ღვთის-მშობლის ეკკლესიას (ქალაქისას), მოზდოკის ეკკლესიას და ახალციხის მაზრაში მდებარე უდის სოფლის ეკკლესიას. პირველს 500 მან. და დანარჩენებს 200 მან. და დანარჩენი თავისს მემკვიდრეებს დაუტოვა.

განსვენებულის მემკვიდრე ა. ამირბეგოვი.

---

## „ივერიის“ ფოსტა.

**ქ. ზანჯაში მღ. ალნიაშვილს.** გაზეთის თქვენგან ნათხოვნი ნომრები და ჯანაშვილის წერილი „ივერიის“ მონასტრები პალესტინაში, რედაქციას არ მოეპოვება.

---


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ფ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპ[illegible] დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.

(857—1468)

---

1895

„მოამბე“

თვიური ჟურნალი
(წელიწადი მეორე)
გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში
იმავე პროგრამით.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| საზღვარ გარედ | 13 მან. | 7 მან. | 5 მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, № 13.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакція «Моамбе».

---

გამოვიდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში ახალი ქართული წიგნი:

ცოდვა
სიყვარულისა.
(Crime d' amour)

რომანი პოლ ბურჟესი, თარგმნილი გრ. ყიფშიძის-მიერ. ფასი 70 კაპ.

—

მზადდება დასაბეჭდად მის-მიერვე თარგმნილი წვრილ-წვრილი მოთხრობანი ევროპის საუკეთესო ბელლეტრისტებისა: ალფ. დოდესი, გიუ დე-მოპასანისა, კატულ მენდესისა, ალექ. კილანდისა, მატილ. სერაოსი, ვიტტარიო ბერსეციოსი, ჯონ ვერგისა, ედმონდ დე-ამიჩისისა და სხვათა სიტყვა-კაზმულის მწერლობის ხელოვან ოსტატთა. (5—5)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| მარიამი . . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 60 |

---

L'URBAINE

УРБЭНЪ

Общество Страхованія Жизни.

Невскій пр., № 13,

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ნაჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ველარ შესძლეს. (40—4)